კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №38

2020 წლის 23 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №44 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის და 23-ე მუხლის მე-8 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
დამტკიცდეს თანდართული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები".

მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე"კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანება.

მუხლი 3
ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 4 ნოემბრიდან.

კონკურენციის სააგენტოს
თავმჯდომარე **ირაკლი ლექვინაძე**

საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შესავალი დებულებები
1. საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები (შემდგომში ,,პროცედურა“) შემუშავებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) შესაბამისად.
2. ეს პროცედურა განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) წარსადგენი საჩივრის ფორმას, მისი

წარდგენის წესს, დასაშვებობის პროცედურებსა და ვადებს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 2. მომჩივანი, მოპასუხე, მათი უფლებები და ვალდებულებები

1. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კანონის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს.
2. მომჩივანმა სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი.
3. მოპასუხე არის პირი, რომლის წინააღმდეგაც სააგენტოში წარდგენილია საჩივარი კანონის შესაბამისი მუხლის/მუხლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე ან რომლის მიმართაც სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის მოკვლევა.
4. მომჩივანი ვალდებულია:

ა) სააგენტოში წარადგინოს საჩივარი ამ პროცედურით დამტკიცებული ფორმითა და წესით;

ბ) საჩივართან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულები.

5. მომჩივანი და მოპასუხე ვალდებულნი არიან სააგენტოს მიაწოდონ მის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, ცალ-ცალკე ან ერთობლივად გამოცხადდნენ ახსნა-განმარტებაზე.

6. მომჩივანს და მოპასუხეს უფლება აქვთ:

ა) ჰყავდეთ ადვოკატი ან/და წარმომადგენელი;

ბ) გაეცნონ საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

გ) მოითხოვონ ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;

დ) განაცხადონ აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ, საჩივრის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

7. მომჩივანს უფლება აქვს, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უკან გაიხმოს სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარი. სააგენტო უფლებამოსილია საჩივრის გახმობამდე წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინიციატივით მოკვლევის წარმოებისთვის.

8. მოპასუხეს უფლება აქვს:

ა) საქმესთან დაკავშირებით სააგენტოს მიაწოდოს საკუთარი მოსაზრებები და შესაბამისი მტკიცებულებები;

ბ) აიღოს პირობითი ვალდებულები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე.

მუხლი 3. აცილების საფუძვლები

1. მხარეს უფლება აქვს, აცილება მისცეს სააგენტოს იმ თანამშრომელს, რომელიც დაინტერესებულია განსახილველი საკითხით.
2. აცილების საფუძველია კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.

3. კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კერძოდ, თუ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით ან/და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები სააგენტოს უფლებამოსილ პირსა და იმ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის საქმეც იხილება, სააგენტოს შესაბამისმა თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება ინტერესთა კონფლიქტის გამო.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომლის მიმართ გამოიყენება სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 4. საჯარო და კონფიდენციალური ინფორმაცია

1. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

2.კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კანონის მე-20 მუხლითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის საკითხის განხილვისას, სააგენტო უფლებამოსილია, პირს მოსთხოვოს აღნიშნული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის არაკონფიდენციალური (კონფიდენციალური მონაცემების დაფარვის მიზნით დაშტრიხული) ვერსიის წარდგენა და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა.

4. დოკუმენტის ვერსია ითვლება არაკონფიდენციალურად, თუ მასში სათანადო წესით დაფარულია პირის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ყველა მონაცემი და მისი გაცემა შესაძლებელია სხვა დაინტერესებულ პირზე ადმინისტრაციული წარმოების მასალის სახით.

5. სააგენტო უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის არაკონფიდენციალურ ვერსიას და დამატებით მოსთხოვოს მას მონაცემების სხვა ფორმით დაფარვა ან თავად უზრუნველყოს დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსიის შექმნა და აცნობოს პირს ამის თაობაზე.

6. სააგენტოს თანამშრომლის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა, გავრცელება ან მისი გამოყენება, მათ შორის, პირადი, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოიწვევს სააგენტოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

თავი II

საჩივრის წარმოებაში მიღება

მუხლი 5. საჩივრის წარდგენის წესი და ფორმა

1. მომჩივანმა სააგენტოში უნდა წარმოადგინოს დანართი N1-ის შესაბამისად შევსებული საჩივარი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მომჩივანი (ვინაობა/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);

ბ) მომჩივანის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია);

გ) მოპასუხე (ვინაობა/დასახელება, პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია);

დ) საჩივრის სახე, სადაც უნდა მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი/მუხლები, რომლის სავარაუდო დარღვევასაც აქვს ადგილი;

ე) საქმის გარემოებების დეტალური აღწერა, სადაც უნდა მიეთითოს შესაბამისი ფაქტები, გარემოებები, სავარაუდო შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრები და მტკიცებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე. ასევე, მსჯელობა დამდგარ ან მოსალოდნელ ქონებრივ ზიანზე;

ვ) მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომლითაც დასტურდება წინა ქვეპუნქტში მოცემული გარემოებები;

ზ) მითითება სააგენტოს მიერ ცალკეული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ[1]) მითითება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე მიმდინარე ან/და დასრულებული სასამართლო დავის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით);

თ) შენიშვნები და დამატებები;

ი) საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა;

კ) მითითება საჩივრის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე;

ლ) მომჩივანის ან მისი წარმომადგენლის სახელი, გვარი/დასახელება, ხელმოწერა და საჩივრის წარდგენის თარიღი.

2. საჩივარი სააგენტოში წარდგენილად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ვადის ათვლა იწყება რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 31 ივლისის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

მუხლი 6. საჩივრის ფორმალური დასაშვებობა

1. სააგენტო საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას კანონით, ამ პროცედურის მე-5 მუხლითა და დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
2. თუ წარდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, სააგენტო მომჩივანს უდგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3. ხარვეზის წერილში აღინიშნება ის კონკრეტული საკითხები და გარემოებები, რომლის მითითებას ან/და დაზუსტებასაც ითხოვს სააგენტო.

4. თუ მომჩივანი სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სააგენტო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

5. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა იწყება სააგენტოში სრულყოფილი საჩივრის წარმოდგენის მომენტიდან.

6. თუ სააგენტოს წარედგინა საჩივარი ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე, იგი ამ საჩივარს 5 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, როგორც უფლებამოსილ ორგანოს, გარდა კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. თუ ცალსახად არ დგინდება საკითხის შესწავლაზე უფლებამოსილი ორგანო, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადა იზრდება 30 კალენდარულ დღემდე, რათა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის მიზნით სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს შორის კონსულტაციები გაიმართოს.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ვადის ათვლა იწყება საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოდ სააგენტოს განსაზღვრის შემდგომ.

მუხლი 7. საჩივრის მატერიალური დასაშვებობა

1. საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას სააგენტო შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.
2. სააგენტო ვალდებულია სრულყოფილი საჩივრის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოპასუხეს შემოსული საჩივრის შესახებ, გარდა კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრისა, და განუსაზღვროს ვადა მოსაზრებების/მტკიცებულებების წარმოდგენისათვის. მოპასუხე უფლებამოსილია, სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები/მტკიცებულებები საჩივრის თაობაზე, სააგენტოს მიერ მითითებულ ვადაში.

3. სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მომჩივანს ან/და მოპასუხეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება.

4. მომჩივანის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ხოლო მომჩივანის მხრიდან სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ხსენებული ვადის დინების განახლების საფუძველია.

5. კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის პროცესში, სააგენტო საჩივარს უგზავნის ეკონომიკის სფეროს მარეგულირებელ ორგანოს მოსაზრებებისათვის და იღებს შესაბამის კონსულტაციებს.

მუხლი 8. პირობითი ვალდებულებები
1. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია, სააგენტოს შესთავაზოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე პირობითი ვალდებულების მიღება (შემდგომში - პირობითი ვალდებულებები).
2. სააგენტო ვალდებულია, პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობოს მომჩივანს ამის შესახებ და განუსაზღვროს ვადა მოსაზრებების და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენისათვის, რაც ამ პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინების შეჩერების საფუძველია.
3. მომჩივანი უფლებამოსილია წარადგინოს მოსაზრებები და შესაბამისი ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების თაობაზე, სააგენტოს მიერ მითითებულ ვადაში. მომჩივანის მხრიდან სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის წარდგენა ამ პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინების განახლების საფუძველია.
4. სააგენტო უფლებამოსილია, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება, რომელიც ხელს შეუწყობს პირობითი ვალდებულებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.
5. კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის პროცესში, სააგენტო ვალდებულია, პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობოს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს ამის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.
6. სააგენტო უფლებამოსილია თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ შემოთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე. გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო შებოჭილი არ არის მომჩივანის ან/და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს პოზიციით, თუმცა გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება.
7. საჩივრის დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ პირობითი ვალდებულებების შეთავაზების შემთხვევაში, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ მიიჩნევს, რომ პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ წარმოიშვება გონივრული ეჭვი კანონის დარღვევის თაობაზე და თანხმობას განაცხადებს მხარის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებების მიღებაზე.
8. თუ სააგენტო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პირობითი ვალდებულებების მიღებას, იგი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს და აგრძელებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის განხილვას. ამ შემთხვევაში, მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული რეგულირება.

9. პირობითი ვალდებულებების მიღების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოსთხოვოს ეკონომიკურ აგენტს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით.
10. თუ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ, სააგენტოს მხრიდან განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული სახით არ იქნება შესრულებული პირობითი ვალდებულებები, საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმება განახლდება და ამ პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლა თავიდან დაიწყება.

თავი III
ინფორმაციის გამოთხოვა

მუხლი 9. სააგენტოს მიერ ინფორმაციის გამოთხოვა

1. სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.
2. დოკუმენტის/ინფორმაციის მიწოდების შესახებ სააგენტოს მიმართვაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საგანი, მიზანი და ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული, აგრეთვე, მითითება ინფორმაციის მიუწოდებლობის შესაძლო შედეგებზე.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. სააგენტო უფლებამოსილია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, გააგრძელოს დოკუმენტის/ინფორმაციის წარდგენის ვადა.
4. (ამოღებულია - 20.12.2023, №54).

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით სააგენტო ვერ ახერხებს წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისთვის ჩაბარებას ან პირი უარს აცხადებს დოკუმენტაციის ჩაბარებაზე, სააგენტო უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურს გაუგზავნოს შესაბამისი თხოვნა, რის შემდეგაც შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით ადრესატისათვის დოკუმენტაციის გაგზავნას. შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად, ადრესატი მხარის მიერ დოკუმენტის გახსნის შემთხვევაში.

5. (ამოღებულია - 20.12.2023, №54).

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №44 - ვებგვერდი, 06.09.2022 წ.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 9[1]. კორესპონდენციის ჩაბარების წესი და პროცედურა

1. სააგენტო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
2. დოკუმენტის პირისთვის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს სააგენტო.

3. პირისთვის ერთი დოკუმენტის რამდენჯერმე ან რამდენიმე ფორმით წარდგენის შემთხვევაში ამ დოკუმენტის ჩაბარების თარიღად ითვლება მისი პირველად ჩაბარების თარიღი.

4. პირისთვის დოკუმენტის წერილობითი ფორმით წარდგენისას ამ პირის მიერ მის ჩაბარებაზე უარის განცხადების შემთხვევაში დოკუმენტის წარმდგენი პირი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას.

5. პირს დოკუმენტი შეიძლება გაეგზავნოს ფოსტით ან/და ელექტრონული ფოსტით.

6. პირისთვის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დადასტურების შემთხვევაში.

7. სააგენტოს წერილობითი დოკუმენტი უნდა ჩაჰბარდეს ადრესატს, მის წარმომადგენელს, მისი ოჯახის წევრს ან მისი სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. ამ პუნქტის მიზნებისთვის ადრესატის ოჯახის წევრებად ითვლებიან მასთან მუდმივად მცხოვრები ახლო ნათესავები, მათ შორის: მეუღლე, დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა, სრულწლოვანი შვილი, სრულწლოვანი შვილიშვილი, ნებისმიერი სხვა სრულწლოვანი პირი (მიუხედავად ადრესატთან ნათესაური კავშირისა), რომელიც მასთან ერთად საერთო საოჯახო საქმიანობას ეწევა.

8. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით სააგენტოს წერილობითი დოკუმენტის გაგზავნიდან 5 სამუშაო დღეში სააგენტო ვერ აბარებს მას ადრესატს, ადრესატი უარს აცხადებს დოკუმენტის ჩაბარებაზე ან არ ადასტურებს ელექტრონული ფოსტით მის მიღებას, სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს გაუგზავნოს დოკუმენტის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ატვირთვის შესახებ თხოვნა, რის შემდეგაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით დოკუმენტის ადრესატისთვის გაგზავნას. ამ შემთხვევაში დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გახსნის მომენტიდან.

9. თუ მხარეს სააგენტოს გადაწყვეტილება ან/და ბრძანება ვერ ჩაჰბარდა ამ მუხლის მე-5–მე-8 პუნქტებით დადგენილი წესით, ეს გადაწყვეტილება ან/და ბრძანება მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება მისი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 10. ინფორმაციის მიწოდება

1. ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
2. თუ ამ ინფორმაციის სააგენტოს მიერ მიღება დაკავშირებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ათვლასთან ან/და განახლებასთან, შესაბამისი ვადა აითვლება/განახლდება ინფორმაციის რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

3. პირი უფლებამოსილია, სააგენტოს მოსთხოვოს მის მიერ წარდგენილი კონკრეტული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება.

4. სააგენტო ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნას განიხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ინფორმაციის მიუწოდებლობა

1. სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება:
ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა;

ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება;

გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება;

2 .ინფორმაციის მიუწოდებლობად არ ითვლება სააგენტოს მიიერ განსაზღვრულ ვადაში დასაბუთებული პასუხი მოთხოვნილი ინფორმაციის არქონის შესახებ.

მუხლი 12. ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგები

1. სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას სამი ათასი ლარის ოდენობით. ხოლო ფიზიკური პირის დაჯარიმებას - ათასი ლარის ოდენობით.
2. ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სააგენტოს მიერ ხელახლა განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა ხუთი ათასი ლარის ოდენობით. ხოლო ფიზიკურ პირს - სამი ათასი ლარის ოდენობით.

2^1. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო საკითხს შეისწავლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რისთვისაც იგი იყენებს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ სათანადო უფლებამოსილებას.

3.ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსათვის ინფორმაციის წარდგენის

ვალდებულებისაგან.

4. მომჩივანის მიერ ინფორმაციის ან/და მტკიცებულების სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოუდგენლობა, ჯარიმის დაკისრების პარალელურად, არის საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმის საფუძველი.

5. კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, სააგენტო დასვამს მოპასუხის უფლებამოსილი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 31 ივლისის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.

თავი IV

სააგენტოს გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების წესი

მუხლი 13. სააგენტოს გადაწყვეტილება

1. ამ პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.
2. ამ პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სააგენტო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ;

ბ) საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

3. სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

ა) საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს;

ბ) არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;

გ) კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში არ არის წარმოდგენილი გამოთხოვილი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება;

დ) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) არსებობს საქმის მოკვლევის შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება;

ვ) არსებობს საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება, გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებისა;

ზ) სასამართლო წარმოებაშია საქმე, რომელიც ეხება დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით, ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

თ) საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, სააგენტო თანხმობას განაცხადებს ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე.

4. სააგენტო უფლებამოსილია, იმავე დავის საგანზე, იმავე მოპასუხე მხარის/მხარეების მიმართ წარმოდგენილ რამდენიმე საჩივართან დაკავშირებით, დაიწყოს ერთიანი მოკვლევა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 31 ივლისის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.
საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 დეკემბრის ბრძანება №54 - ვებგვერდი, 21.12.2023 წ.

მუხლი 14. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დანართი N1

საჩივარი

1. ზოგადი მონაცემები

მომჩივანი:

1.სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში); დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):

2. მისამართი:

3. ტელეფონი:

4.ელ-ფოსტა:

მომჩივანის წარმომადგენელი:

1.სახელი, გვარი, პირადი ნომერი:

2.მისამართი:

3.ტელეფონი:

4.ელ-ფოსტა:

მოპასუხე:

1. სახელი, გვარი, პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში); დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში):

2. მისამართი:

3. საკონტაქტო მონაცემები:

საჩივრის სახე

(მითითება იმის თაობაზე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რომელი მუხლის/მუხლების სავარაუდო დარღვევას აქვს ადგილი)

2. საქმის გარემოებების დეტალური აღწერა

(დეტალური ინფორმაცია კანონის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფაქტების, გარემოებების, მტკიცებულებების, სავარაუდო შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების მითითებით, ასევე, მსჯელობა დამდგარ ან მოსალოდნელ ქონებრივ ზიანზე)

3. მტკიცებულებები

1. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს

(დანართი №)

2. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს

(დანართი №)

3. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს

(დანართი №)

4. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

(გთხოვთ, დაასახელოთ, კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის ცნობა გსურთ კომერციულ საიდუმლოებად - შესაბამისი დასაბუთების მითითებით)

5. მითითება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე მიმდინარე ან/და დასრულებული სასამართლო დავის თაობაზე

(გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული მიმდინარე ან/და დასრულებული სასამართლო დავის თაობაზე და საჩივარს თან დაურთოთ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6. შენიშვნები და დამატებები

(ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლის შემთხვევაში)

სხვა შენიშვნები და დამატებები:

7. საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა

დასახელება:

დასახელება:

დასახელება:

დასახელება:
დასახელება:

□ ვადასტურებ, რომ საჩივარში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და ჩემთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მოწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

მომჩივანი/მომჩივანის წარმომადგენელი ----------

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 31 ივლისის ბრძანება №49 - ვებგვერდი, 01.08.2023 წ.